პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 20 (1346) ○ კვირა, 15 თებერვალი, 1959 წ. ○ გამოდის მე-15 წელი ○ ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



XXVI ჩემპიონატის საზეიმო დახურვაზე მონაწილეებს გადაეცათ სპეციალური პრიზები. საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის წარმომადგენელი დ. ჭეიშვილი სამახსოვრო პრიზს გადასცემს ტ. პეტროსიანს (მარცხნივ).

## გერმანელი სპორტსმენები მხარს უჭერენ სსრ კავშირის წინადადებებს

ბ ე რ ლ ი ნ ი. (სა ქ დ ე ს ი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები გდრ-ის ყველა მშრომელთან ერთად მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის წინადადებებს, რომლებიც მოცემულია გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტში. გერმანულ პრესაში იბეჭდება გამოჩენილ სპორტსმენთა და სპორტის დარგის მუშაკთა წერილები, სადაც ისინი იწონებენ საბჭოთა კავშირის ამ ახალ მშვიდობიან ინიციატივას.

როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონმა ჭადრაკში, საერთაშორისო ოსტატმა ვოლფანგ ულმანმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ურყევად დგას თავის მშვიდობიან პოზიციებზე, რომელიც მიმართულია გერმანიაში საერთო მდგომარეობის ნორმალიზაციისაკენ.

საბჭოთა კავშირის წინადადებები, განაცხადა ვ. ულმანმა, გარანტიაა იმისა, რომ გერმანია მომავალში აღარასოდეს არ იქნება აგრესორი, ხოლო გერმანელი ხალხისათვის იგი უზრუნველყოფს მშვიდობიან მომავალს. ამასთან დაკავშირებით გერმანელი მოჭადრაკე მიესალმება იმ წინადადებას, რომ გერმანიას არ უნდა ჰქონდეს მასობრივი განადგურების იარაღი. საბჭოთა წინადადებათა განხორციელება ნიშნავს ორივე გერმანული სახელმწიფოს დაახლოებას და მათი გაერთიანების დაჩქარებას. მაშინ გერმანელ სპორტსმენებს აღარ დაჭირდებოდათ შეჯიბრებებში გამოსვლა ორი სახელმწიფოს სახით.

გერმანიის მოკრივეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ვილი ლანგჰეინრიხმა ადნ-ის სააგენტოს წარმომადგენელთან ინტერვიუში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებანი გამოხატავენ გერმანელი ხალხის ინტერესებს. ამ პროექტის განხორციელება გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ გერმანია ოდესმე კვლავ ემუქრებოდეს სხვა ხალხთა ცხოვრებას. ამით, ხაზი გაუსვა ვ. ლანგჰეინრიხმა, უზრუნველყოფილი იქნება თვით გერმანელი ხალხის უშიშროებაც.





## კ. წაქაძე აუმჯობესებს ნახტომს

ავსტრია-გერმანიის ოთხი ტრამპლინის ტურნირში ფეხის დაზიანების გამო კობა წაქაძე კარგა ხნით გამოაკლდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მხტომელთა რიგებს და მონაწილეობა ვერ მიიღო ამას წინათ ბაკურიანში გამართულ უძლიერესთა შეჯიბრებაში. მაგრამ იგი მალე დაუბრუნდა ტრამპლინს. წაქაძემ არმიელთა საკავშირო შეჯიბრებაში მოიპოვა მესამე ადგილი, ხოლო ამ დღეებში ლენინგრადის დიდ ტრამპლინზე, სადაც ჩატარდა უძლიერესთა შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომასა და სამთო ორჭიდში, ცხადყო, რომ თანდათან უბრუნდება თავის ფორმას.

ტრამპლინიდან ხტომაში პირველი ცდის შემდეგ ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ნ. კამენსკის — 70,5 მ. ნახტომის სიგრძით მეორე ადგილზე იყო კიროველი დ. კოჩკინი — 69,5 მ. მესამე შედეგი ჰქონდა რ. ბიკოვს — 68 მ, მაგრამ კ. წაქაძემ, რომელიც 67,5 მეტრზე გადახტა, სტილისათვის კვლავ მაღალი შეფასება მიიღო და პირველი ცდის შემდეგ მესამე ადგილზე იმყოფებოდა.

მეორე ცდაზე კამენსკიმ აჩვენა 71,5 მ და 225,5 ქულით მოიპოვა პირველი ადგილი. მეტრაჟში ასეთივე შედეგი აჩვენა ნ. შამოვმაც. ბაკურიანელი სპორტსმენი მათ 1,5 მეტრით ჩამორჩა, მაგრამ სტილის მაღალმა შეფასებამ მას საშუალება მისცა ორი ცდის ჯამში მოეგროვებინა 220 ქულა და მეორე ადგილზე გამოსულიყო.

ორჭიდელთა შეჯიბრებაში ხტომების შესრულების შემდეგ ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ნ. შამოვს —70 და 74,5 მ, მაგრამ იგი წარუმატებლად გამოვიდა 15-კმ-ზე რბენაში და უძლიერესთა ათეულშიც ვერ მოხვდა. ორჭიდში გაიმარჯვა დ. კოჩკინმა — 453.6 ქულა.

## ტალ შეუყვება [illegible]

ჩემპიონატის დამთავრების მეორე დღეს ჩვენი რედაქციის თანამშრომლები ეწვივნენ გროსმაისტერ მ. ტალსა და მის მწვრთნელს ოსტატ ა. კობლენცს. გვინდოდა გვესაუბრა მათთან განვლილი ჩემპიონატისა და მომავალი შეხვედრების შესახებ. მასპინძლებმა თავაზიანად მიგვიღეს.

გვეგონა მ. ტალი გუნებაზე არ იქნებოდა ჩემპიონობის დაკარგვის გამო, მაგრამ შევცდით. რიგელი გროსმაისტერი ჩინებულ ხასიათზე იყო, ხუმრობდა და, საერთოდ ოპტიმისტურად იყო განწყობილი.



პირველ რიგში ტალს შევეკითხეთ, თუ რას ფიქრობს ჩემპიონატში გამართულ ბრძოლასა და ტ. პეტროსიანის მიღწევაზე.

გროსმაისტერმა გ ვ ი პ ა ს უ ხ ა: ბრძოლამ ჩემპიონატში სავსებით გაამართლა მოლოდინი. იგი ძალზე საინტერესო იყო და კიდევ უფრო მიმზიდველი იქნებოდა ტურნირში ბოტვინიკი და სმისლოვი რომ ყოფილიყვნენ. ლიდერობისათვის ბრძოლაში (ვგულისხმობ ტურნირის მეორე მონაკვეთს) მხოლოდ ორნი — მე და პეტროსიანი ვმონაწილეობდით, ბოლოს შემოგვიერთდა სპასკიც. მაგრამ პეტროსიანი ისეთი სიმტკიცით მიიწევდა წინ, რომ მისი დაწევა შეუძლებელი აღმოჩნდა. უსამართლობაც იქნებოდა, რომ მოსკოველ გროსმაისტერს არ აეღო პირველი ადგილი: მას არც ერთი პარტია არ წაუგია და უფრო მეტიც — ერთი შეცდომაც არ დაუშვია! ისტორიას რომ გადავხედოთ, მსგავსი „ავტომატური" თამაშით გამოირჩეოდა კაპაბლანკა და ისიც გარკვეულ პერიოდში. ამბობენ, რომ პეტროსიანი „განიკურნა" ყაიმებისაგან. ჩემის აზრით, ეს სწორი არაა. პეტროსიანი რჩება ყაიმების უბადლო ოსტატად. მას არ შეუცვლია თამაშის სტილი, რომელიც კვლავ პოზიციური, მეთოდური და დახვეწილია. მაგრამ ჩემპიონატში პეტროსიანმა უფრო მკაფიოდ გამოავლინა თამაშის მაღალი ტექნიკა და მოწინააღმდეგის მცირე შეცდომას ქულად აქცევდა. ახლა პეტროსიანის თამაშში ძნელია მონახო ხარვეზი. ამიტომ ჩემპიონატში გამარჯვებით იგი სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს მსოფლიო პირველობაზე.

პრეტენდენტთა ტურნირში, რომელიც შემოდგომაზე გაიმართება იუგოსლავიაში, დიდი მნიშვნელობა აქვს გაუძლო ორთვიან ბრძოლას. ეს ყველაზე უკეთ შეუძლია ჩვენს ჩემპიონს, რომელიც ყაიმს გააკეთებს მაშინ, როცა დასვენება დასჭირდება. ამიტომ მისი შანსები დიდია.

ჩვენს შეკითხვაზე პრეტენდენტთა ტურნირის შესახებ, მ. ტალმა გვიპასუხა:

— პრეტენდენტებში რვანი ვართ. ჩვენი ქვეყნიდან ოთხნი: სმისლოვი, კერესი, პეტროსიანი და მე. ერთმანეთს შევხვდებით პატარა მატჩებში, ვითამაშებთ 4-4 პარტიას, ე. ი. სულ გაიმართება 28 ტური. ეს იქნება ძნელი და დამქანცველი ტურნირი, რომელიც მაღალ მომზადებას მოითხოვს. ჩვენი მოჭადრაკეებიდან ყველას შეუძლია იყოს პირველი. რაც შეეხება უცხოელებს, მათგან ყველაზე საშიშია გლიგორიჩი (იუგოსლავია), რომელიც შესანიშნავ ფორმაში იმყოფება. მისი თამაში სულ უფრო ძლიერდება. საკმარისია, გავიხსენოთ მიუნჰენის XIII ოლიმპიადა, სადაც მან წარმატებას მიაღწია პირველ დაფაზე. ცხადია, გლიგორიჩი თავის სამშობლოში კი მთელი ძალით ითამაშებს. სხვათა შორის, ყური მოვკარი, რომ იგი უკვე ენერგიულად ემზადება ტურნირისათვის.

(დასასრული მე-3 გვ.).

* * *

მეორე სურათზე თქვენ ხედავთ მ. ტალს ნაბადში და ვერცხლის სურით ხელში, რომლითაც იგი ყველაზე მეტი მოგებული პარტიისათვის დააჯილდოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ. მესამე სურათზე — მ. ტაიმანოვს გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის მიერ გადაცემული ჯილდოებით. მეოთხე სურათზეა ლ. პოლუგაევსკი თურქმენულ ნაციონალურ სამოსელში, რომელიც მას გადასცა გაზეთ „კომსომოლეც ტურკმენისტანას" წარმომადგენელმა უკანასკნელ ათ ტურში საუკეთესო შედეგისათვის.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ბოლო ეტაპის წინ

ეგვიპტის ველორბოლის მე-9 ეტაპზე (ზაგაზიგა-ელ-მახალა-ელკუბრა) ფინიშთან პირველი იყო გერმანელი რ. პლუსკატი, რომელმაც 80 კილომეტრი 2 საათში, 30 წუთსა და 25 წამში დაფარა. მე-10 ეტაპზე ყველას აჯობა ბულგარელმა ს. ალექსანდროვმა, ხოლო ბოლოსწინა ეტაპზე—მიულერმა (გდრ).

გუშინ საერთაშორისო ველორბოლის მონაწილენი ისვენებდნენ. დღეს შედგება ბოლო ეტაპი ალექსანდრია-კაირო.

11 ეტაპის ჯამში გუნდურ პირველობას ინარჩუნებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი.

## ლ. ვოლპერტი თუ კ. ზვორიკინა

გასულ კვირას მოსკოვის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო მატჩი საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა XX ჩემპიონატში პირველ-მეორე ადგილებზე გასულ საერთაშორისო ოსტატებს კ. ზვორიკინასა (მინსკი) და ლ. ვოლპერტს (ლენინგრადი) შორის ჩემპიონის ოქროს მედლისათვის. მეტოქეებმა უნდა ითამაშონ ოთხი პარტია.

პირველ პარტიაში ზვორიკინამ ხელთ იგდო ინიციატივა და მოიპოვა პოზიციური უპირატესობა. მაგრამ პარტია არ დამთავრებულა. მეორე დღეს ზვორიკინამ ზუსტი თამაშით შეძლო თავისი უპირატესობის რეალიზაცია და გაიმარჯვა. მეორე პარტიაში ვოლპერტმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, გაშლილი ფრონტით შეუტია მოწინააღმდეგეს. თუმცა პარტია იმავე დღეს არ დამთავრებულა, მაგრამ ლენინგრადელის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. ზვორიკინამ მეორე დღეს თამაშის განუახლებლად დათმო პარტია. მესამე პარტია ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 1,5 : 1,5.

## კონტინენტის ჩემპიონები

შვეიცარიის ქალაქ დავოსში დამთავრდა ევროპის პირველობა ფიგურულ სრიალში, რომელშიც მონაწილეობდნენ ავსტრიის, ბელგიის, იტალიის, ინგლისის, გდრ-ის, უნგრეთის, პოლონეთის, სსრ კავშირის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიისა და შვეიცარიის სპორტსმენები. წყვილთა შეჯიბრებაში ჩემპიონის წოდება მოიპოვეს მ. კილიუსმა და გ. ბოიმლერმა (გფრ). მეორე ადგილი მოიპოვეს წინა ჩემპიონატის პრიზიორებმა ნ. და ს. ჟუკებმა (სსრ კავშირი).

ერთეულთა შეჯიბრებაში შესანიშნავი მომზადება გამოავლინა ჩეხმა სპორტსმენმა კ. დივინმა, რომელიც მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი. წყვილთა ცეკვებში უძლიერესნი იყვნენ ინგლისელი სპორტსმენები დ. დენი და კ. ჯონსი.

ქალთა შორის ფიგურულ სრიალში ჩემპიონის წოდება მოიპოვა ავსტრიელმა სპორტსმენმა გ. ვალტერმა.

# საქართველო ემზადება II სპარტაკიადისათვის



საქართველოს ველოსიპედისტები დაბეჯითებით ემზადებიან ხალხთა II სპარტაკიადისათვის.

სურათზე: სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. კრიუჩკოვი მეცა-დინეობას ატარებს გ. ჯოხაძესა (მარცხნივ) და სპორტის ოსტატ ა. კიკ-ნაძესთან.

ფოტო ა. ვართანოვისა.

## პროგრესის გზით

არაერთხელ თქმულა და დაწერილა იმის შესახებ, რომ საქართველოს ტანმოვარჯიშეებმა ბოლო წლების მანძილზე საგრძნობლად დაუკლეს თავიანთ ოსტატობას და დაბალი მაჩვენებლებით გამოდიოდნენ საკავშირო შეჯიბრებებზე. მართლაც მე-8 ადგილი საკავშირო პირველობაზე არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება ჩვენს ტანმოვარჯიშეებს, რომელთა სახელთანაც დაკავშირებულია მრავალი სერიოზული გამარჯვება გასულ წლებში.

ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად მიღებულ იქნა საგანგებო ზომები. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ყველა პირობა შეუქმნა ჩვენს ტანმოვარჯიშეებს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ნორმალური ორგანიზაციისათვის, გაუმჯობესდა ტანვარჯიშის რესპუბლიკური სექციისა და მწვრთნელთა საბჭოს მუშაობა და შედეგმაც მალე იჩინა თავი — განვლილ საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრებმა კოლექტივმა დაიკავა საერთო მეოთხე ადგილი მოსკოვის, რსფსრ-სა და უკრაინის გუნდების შემდეგ და უკან მოიტოვა ლენინგრადისა და დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკათა ძლიერი კოლექტივები.

საქართველოს გუნდის ამ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკის საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა ერთობლივმა სასწავლო-საწვრთნელმა მეცადინეობამ, რომელიც მაღალ საორგანიზაციო და ტექნიკურ დონეზე ჩატარდა. ჩვენმა ვაჟებმა და ქალებმა დაიკავეს ერთნაირი გუნდური ადგილი — მეხუთე, მაგრამ ვაჟებმა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს, ვიდრე ქალებმა. საკმარისია ითქვას, რომ რ. კაჰახიძე მოხვდა უძლიერესთა ათეულში (მე-9 ადგილი), ხოლო ნ. მაკალათიამ დაიკავა მეორე ადგილი ჰაბუკთა შორის, მაგრამ ქალთა ინდივიდუალური მაჩვენებლები გაცილებით დაბალი იყო. კერძოდ, მ. ნინოშვილმა დაიკავა 35-37-ე ადგილი. აქვე უნდა ითქვას, რომ თავის შესაძლებლობაზე გაცილებით დაბალი შედეგით გამოვიდა თ. ბეთანელი, რომელმაც სწორედ შეჯიბრების წინ მიიღო მძიმე ტრავმა და მაინც სასახელოდ დაიცვა გუნდის ინტერესები — ჩათვლა მისცა მას.

მიუხედავად ამ საერთო პროგრესისა, ჩვენს ტანმოვარჯიშეებს ჯერ კიდევ აქვთ მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომელთა გამოსწორება უფრო გააუმჯობესებს ჩვენს მიღწევას. ასე, მაგალითად, ვაჟებს არა აქვთ სათანადო სიმსუბუქე და დინამიკურობა თავისუფალ ვარჯიშში, მათ კომბინაციებში ცოტაა აკრობატული ნაერთები და ეფექტური გადასვლები. იგრძნობა არასაკმარისი სტაბილურობა ტაიჭზე ვარჯიშისას, მათ აკლიათ რთული ძალისმიერი ელემენტები რგოლებზე ვარჯიშში, აგრეთვე სტატიკურ მდგომარეობათა საჭირო ფიქსაცია.

ქალებს ნაკლებად აქვთ გააზრებული საერთო კომპოზიცია თავისუფალ ვარჯიშში, გაუბედავად შეაქვთ მასში რთული აკრობატული ელემენტები. არასაკმარისი გამომსახველობით ასრულებენ მოძრაობებს დვირზე მუშაობისას იგრძნობა არასაკმარისი დინამიკურობა, აგრეთვე ეფექტურ სტატიკურ მდგომარეობათა სიმცირე. ხტომითი და ცეკვითი ელემენტების სიმცირე. ნებისმიერ ბჯენით ხტომებში შესამჩნევია ერთფეროვნება.

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა საერთო ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს დახტომი ვარჯიშის დამთავრებისას, რასაც ბუნებრივია, მოსდევს ქულათა დაკარგვა.

საკავშირო პირველობისათვის მოსამზადებელ პერიოდში ტანვარჯიშის სპეციალიზებულ დარბაზში არ იყო შექმნილი ყველა პირობა ნორმალური წვრთნისათვის და, შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაკლოვანებები დღესაც ხელს უშლის სპორტსმენებს.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იმსჯელა საქართველოს ტანმოვარჯიშეთა გუნდის საკავშირო შეჯიბრებაზე გამოსვლის შესახებ და დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი ამ სახეობის შემდგომი პროგრესისა და სპორტსმენთა ოსტატობის სრულყოფისათვის.

ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საკავშირო შეჯიბრებაში წარმატებისათვის სიგელებით დააჯილდოვა შემდეგი ამხანაგები: გ. ჰილაია, ნ. მეიფარიანი, დ. ჩიკვაიძე, ს. ჯაიანი, ი. ოგანოვი, თ. სისორდია, ნ. თაყაიშვილი, ნ. ბახუტაშვილი, ს. თედეევი, ნ. მახვილაძე, ტ. უზუნოვი, რ. კაჰახიძე, ნ. მაკალათია, რ. შარაბიძე, ა. ნარიმანოვი, ნ. ფრიდონიშვილი, რ. კობახიძე, გ. გრომოვი, ი. კოვალიოვი, ი. ბალიაური, შ. რევიშვილი, კ. ხოდიკიანი, ჯ. ქარაზანაშვილი, თ. კარბელაშვილი, მ. ბოგუსი, მ. ჯუღელი, გ. შარაბიძე, რ. ბეთანელი, ტ. კომისარენკო, მ. ცნობილაძე, ქ. ქაჯაია, ვ. კლიმოვა, ლ. სალალიშვილი, მ. ნინოშვილი, ზ. ბენიძე, ა. მარიამიძე, ვ. შიროკაია, გ. მამაჯანოვი.

## საქართველოს ნაკრები გუნდების კანდიდატთა სია

### თავისუფალი ჭიდაობა

მ. ცალქალამანიძე („შრომითი რეზერვები"), ზ. მჭედლიშვილი („დინამო"), ზ. მონასელიძე („კოლმეურნე"), ვ. არსენიანი („დინამო"), ა. მაისურაძე („კოლმეურნე"), მ. ოსიყმაშვილი („სპარტაკი"), ვ. რუბაშვილი („ბურევესტნიკი"), გ. სიმონიშვილი („დინამო"), რ. სესიაშვილი, თ. ელერდაშვილი („ბურევესტნიკი"), ა. გვიმრაძე („განთიადი"), გ. სალარაძე („სპარტაკი"), გ. ჯინჭარაძე („შრომითი რეზერვები"), ვ. ბალავაძე („ბურევესტნიკი"), დ. დავლიანიძე („ბურევესტნიკი"), ზ. მუხიაშვილი („კოლმეურნე"), ს. გაბარაევი („დინამო"), გ. სხირტლაძე („სპარტაკი"), გ. გობეჯიშვილი (ქუთაისი), ზ. მეშველიანი („განთიადი"), ნ. გოგიბედაშვილი („სპარტაკი"), ა. ზურაბაული („კოლმეურნე"), ა. ბურდული („შრომითი რეზერვები"), ო. კანდელაკი, ვ. ბათლიძე (ორივე „დინამო"), ა. ვარდოშვილი („კოლმეურნე").

✦

### ძალოსნობა

რ. დათიკაშვილი („კოლმეურნე"), ა. სურმანიძე (სკვო), რ. ჩამიშკიანი, ხ. ხანუკაშვილი („დინამო"), ა. გრიგორიანი („კოლმეურნე"), შ. კაცობაშვილი („კოლმეურნე"), კ. ჩალათაშვილი („ბურევესტნიკი"), ა. გალოიანი („სპარტაკი"), ვ. რადიმაშვილი („განთიადი"), ი. ყუბანეიშვილი („კოლმეურნე"), გ. მიმინოშვილი („ლოკომოტივი"), კ. ებრალიძე („დინამო"), ნ. ჩოჩიევი, ი. ქართველიშვილი („ბურევესტნიკი"), მ. მინასიანი („დინამო").

✦

### კლასიკური ჭიდაობა

ზ. შეყრილაძე, („ბურევესტნიკი"), დ. ძნელაძე („განთიადი"), ვ. კაზაროვი („სპარტაკი"), გ. ჩიტიაშვილი („ბურევესტნიკი"), ო. ეგაძე, ზ. უგრეხელიძე, მ. ღუდუშაური (ყველა „ბურევესტნიკი"), შ. სეფაშვილი („დინამო"), ა. ჩიხლაძე (ქუთაისი, „სპარტაკი"), ა. ქორიძე („ბურევესტნიკი") რ. ძნელაძე („დინამო"), გ. მინასიანი („სპარტაკი"), გ. მახარაძე (ბათუმი), დ. გვანცელაძე („განთიადი"), რ. ტუხულოვი, ა. ჭითავა (ორივე „ბურევესტნიკი"), გ. სინაურიძე (ქუთაისი, „განთიადი"), მ. კილასონია („განთიადი"), ზ. ჭითავა რ. აბაშიძე (ორივე „ბურევესტნიკი"), თ. გველესიანი („განთიადი"), გ. ჭითავა („განთიადი"), ა. ხაბეიშვილი („დინამო"), დ. მანელიშვილი („კოლმეურნე").

✦

### ჭადრაკი

**ვაჟები** — ბ. გურგენიძე, ა. ბლაგიძე, გ. მაჭავარიანი, გ. კალატოზიშვილი, თ. ლომაია, ა. იზვოზჩიკოვი, გ. გამრეკელი, თ. კიკიანი, დ. ჯანოევი, მ. დემურია, ვ. კაჭარავა, ე. გერსამია, რ. ჯინჯიხაშვილი, **ქალები** — ე. კაკაბაძე, ნ. გაფრინდაშვილი, მ. ტოგონიძე, ლ. ხაჭაპურიძე, ქ. გოგიავა, ა. ჩაიკოვსკაია.

✦

### ფარიკაობა

ო. კიკალეიშვილი, ი. ოსიპოვი, თ. ცქიტიშვილი, გ. ჯაიანი, თ. ზაუტაშვილი, ჯ. გიორგაძე, ი. ესაიაშვილი, ლ. შეყრილაძე, ლ. ფანჩვიძე, გ. გორდაძე, ნ. ასათიანი, გ. გოგელია, დ. გოგაძე, მ. სახვაძე (ქუთაისი), რ. ცირეკიძე, კ. გოგელია, გ. კოსტავა, ა. ასათიანი, გ. ცაგარელი, მ. ფილიპოვი, ა. შვანგირაძე, ჯ. მაჭავარიანი, დ. მოსიძე (ქუთაისი), მ. მჭედლიძე, ო. გაბედავა შ. ალანია, დ. უკლება, რ. გოშაძე, ი. ბოლოთაევა, გ. ცანავა (ყველა „ბურევესტნიკი"), დ. ბუგიანიშვილი, ზ. ცქიტიშვილი, ა. კუხიანიძე, ზ. ბილანიშვილი, ნ. ძაგანაშვილი (ყველა „დინამო"), ა. ბობოხიძე (ქუთაისი) მ. სულთანიშვილი, მ. კოხრეიძე, დ. კვანტალიანი (ქუთაისი), ი. მაშინაია, გ. იობაძე, ი. მატინოვი, ლ. შაქაროვა, ც. შენგელია, ა. გოგელია (ყველა „სპარტაკი"). მ. კუტივაძე, ნ. ანდრიაძე, გ. დოლონაძე, ლ. გელაძე (ყველა განათლების განყოფილება), მ. ჭავჭავაძე ი. კოვანჩევიჩი, მ. ადეიშვილი, ა. ბიბიაშვილი, (საგზაო გან. განყოფილება), დ. კიკნაძე („დინამო"), ა. ბაღდასარიანი (გაგრა), შ. სულამანიძე (ქუთაისი), ი. ნიქობაძე (ზესტაფონი), გ. გიორგაძე (ქუთაისი).

## კომკავშირის ღვიძლი საქმე

სამხრეთ ოსეთის კომკავშირელები და ახალგაზრდობა გაცხოველებით ემზადებიან საქართველოს II სპარტაკიადისათვის. კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით სპარტაკიადის პროგრამაში შემავალ ყველა სახეობაზე გაპიროვნდნენ პოლიტხელები კომკავშირის საოლქო კომიტეტის აქტივისტთა და პასუხისმგებელ მუშაკთა რიგებიდან, რომელთა ამოცანას წარმოადგენს სპორტსმენთა მორალურ-ნებელობითი ჩვევების განმტკიცება და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება. მათ მწვრთნელებთან ერთად უკვე დაიწყეს მოსამზადებელი მუშაობა.

პოლიტხელები და მწვრთნელები სპორტსმენებთან სისტემატურად ატარებენ საუბრებს, ლექციებს, იხილავენ ამა თუ იმ საკითხს, რომელიც კონკრეტულად უკავშირდება გუნდის მზადების, მისი წევრების მორალური აღზრდის საქმეს. ისინი დიდ დახმარებას უწევენ სპორტსმენებს ინვენტარით, ფორმით და ბაზებით უზრუნველყოფაში, სისტემატურად ესწრებიან მეცადინეობებს, გულისყურით ეკიდებიან სპორტსმენთა მოთხოვნილებებს.

იყო ასეთი შემთხვევა. ოლქის ჩემპიონი 100 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში მ. ფუხაევა სკოლის დამთავრების შემდეგ ვერ მოხვდა უმაღლეს სასწავლებელში და თავი მიანება სპორტსაც. ვერ გაჭრა მწვრთნელის მიერ მიღებულმა ზომებმა. მაშინ მის დასახმარებლად მოვიდა პოლიტხელი ნ. ზადიშვილი, რომელმაც ღრმად შეისწავლა სპორტსმენის ოჯახური პირობები, ესაუბრა მის მშობლებს, თვით მ. ფუხაევასაც. გულისხმიერმა მიდგომამ, სწორმა პოლიტაღმზრდელობითმა მუშაობამ შედეგი გამოიღო. მ. ფუხაევა ამჟამად მონდომებით დადის სპორტულ მეცადინეობებზე.

კომკავშირის საოლქო კომიტეტის ინიციატივით სპარტაკიადისათვის მზადების პროცესში მყოფი სპორტსმენებისათვის სისტემატურად ეწყობა სპორტულ თემებზე შექმნილი ფილმების ჩვენება და სხვა ღონისძიებები.

ეჭვი არ არის, ყველაფერი ეს სასურველ ზემოქმედებას მოახდენს სამხრეთ ოსეთის გუნდების მზადებაზე.

**ა. პეტოევი,**
**საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი.**

# ჩვენი კონკურსის შედეგები

XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის დაწყების წინ ჩვენმა გაზეთმა მკითხველებს რამდენიმე შეკითხვა შესთავაზა, რომლებიც პროგნოზებს შეეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სპორტში პროგნოზები არაა საიმედო, ჭადრაკის მოყვარულებმა მაინც სცადეს თავიანთი არგუმენტირებული მოსაზრებების გაკეთება. კონკურსის 400 მონაწილედან მხოლოდ ათიოდეს გაუმართლა.

შეკითხვაზე თუ ვინ იქნება ჩემპიონი, უმრავლესობამ მ. ტალი დაასახელა, მაგრამ, როგორც ვიცით ჩემპიონობა მოიპოვა ტ. პეტროსიანმა, რაც „გამოიცნეს": ვ. კაკულიამ (ქუთაისი), რ. ცერცვაძემ (დ. სურამი), ა. სვიმონიშვილმა და მ. კობახიძემ (რუსთავი), გ. გიორხელიძემ (ქუთაისი), ბ. ჭლაჭიშვილმა, ო. ფურცხვანიძემ (თბილისი), ი. მურუსიძემ და რ. სირაძემ (თეთრი წყარო, სოფ. ასურეთი), თ. კირვალიძემ (თელავის რაიონი, სოფ. ვანთა), გ. ნინუამ, ო. ფოცხვერიამ (სოხუმი), ზ. ელბაქიძემ (ქარელის რაიონი, სოფ. ზღუდერი). საინტერესოა, რომ უმრავლესობამ მიზნის მისაღწევად 18,5 ქულის მოგროვება ჩათვალა საჭიროდ, რაც მართლაც ეყო პეტროსიანს პირველი ადგილისათვის.

მკითხველებმა თავიანთი სიმპათიები გროსმაისტერთა შორის საუკეთესო შედეგის საკითხში გამოუცხადეს მ. ტალსა და ტ. პეტროსიანს. მაგრამ ყველას აჯობა მ. ტაიმანოვმა. ამ შეკითხვაზე სწორი პასუხი გამოგზავნეს ი. ახალაძემ (ქუთაისი) და ა. ახვლედიანმა (თბილისი).

ორი შეკითხვა შეეხებოდა ოსტატებს. პირველი: რომელი ოსტატი აჩვენებს საუკეთესო შედეგს გროსმაისტერებთან შეხვედრებში. როგორც ცნობილია, ჩემპიონატზე ეს პრიზი მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა რ. ხოლმოვმა. ჩვენი მკითხველებიდან მხოლოდ ვ. სვიმონიშვილმა (რუსთავი), რ. სიჭინავამ (გალი), მ. გოგიაშვილმა, ს. მაჩიტიძემ (ქუთაისი), ნ. ბედენაშვილმა, მ. ჯაბიშვილმა (ქარელის რაიონი, სოფ. ზღუდერი). მ. საათიშვილმა, რ. ბროკიშვილმა, რ. ცომაიამ (თბილისი), „იწინასწარმეტყველეს" რ. ხოლმოვის წარმატების ამბავი.

მეორე შეკითხვა იყო: რომელი ოსტატი იქნება წინ თავის კოლეგებს შორის. სხვათაშორის ასეთი პრიზი დააწესა ჩვენმა გაზეთმა ჩემპიონატის მონაწილე ოსტატთათვის. იგი ერგო რ. ხოლმოვს. ამ კითხვაზე სწორი პასუხი გაგვცეს ჯ. ფირანიშვილმა, კ. იოსელიანმა (თბილისი), თ. ხიხაძემ (ორჯონიკიძე), თ. მაჭარაშვილმა (საჩხერე) და ნ. ცინცაძემ (ქუთაისი).

ბოლო ადგილის რამდენიმე კანდიდატი იყო დასახელებული, მაგრამ გულშემატკივრებს იმედები მხოლოდ ა. ნიკიტინმა „გაუმართლა". აი ვის არ „უმტყუნა" მოსკოველმა ოსტატმა: გ. ნანავას (წალენჯიხა), ი. ბლუაშვილს, ზ. კვაჭაძეს, რ, გოგოხიას, ს. გოზალიშვილს, ნ. მირონოვს (თბილისი). თ. ლომაძეს, ა. ყიფიანს (ქუთაისი), გ. ლობჟანიძეს (ონის რაიონი, სოფ. ღები), მ. ფორჩხიძეს (ტყიბული), ჯ. რეხვიაშვილს (სოხუმი). რ. ცერცვაძეს (დ. სურამი), დ. ლორთქიფანიძეს; გ. ბეროძეს (წყალტუბო), ა .რამიშვილს, ი. სესიაშვილს (გურჯაანის რაიონი, სოფ. ველისციხე), ა. მათიაშვილს (სამგორის რაიონი, სოფ. მარტყოფი), გ. კვირიტიას (გალი), ა. დოლიძეს (გაგრის რაიონი, სოფ. ლესელიძე).

ვერავინ ვერ გამოიცნო, თუ რომელ ადგილზე გამოვიდოდა ბ. გურგენიძე. ეს გასაგებიცაა, რადგან ყველას სურდა ენახა იგი გამარჯვებულთა შორის თუ არა პირველ ათეულში მაინც.

კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცემათ სამახსოვრო სიგელები.





# როცა კოლექტივს პატივს არ სცემენ

ბაკურიანი. (ტელეფონით). უძლიერეს მოთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრების უკანასკნელ დღეს ამინდი მძვინვარებდა: თოვდა, ქროდა ძლიერი ქარი. მიუხედავად ამისა, ბრძოლა ქალთა შორის 10 და ვაჟთა შორის 50 კილომეტრზე რბენაში საინტერესოდ ჩატარდა. ქალების რბენაში 5 კილომეტრის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ბარანოვა-კოზირევა („ბურევესტნიკი"), მაგრამ მან ვერ შეძლო ბოლომდე შეენარჩუნებინა მოპოვებული უპირატესობა. სპარტაკელმა მ. გუსაკოვამ, რომელიც 5 კმ-ის შემდეგ ლიდერთან 16 წამს აგებდა, არა მარტო გამოასწორა ჩამორჩენა, არამედ 40 წამით მიასწრო ფინიშზე მეორე ადგილზე გამოსულ ლ. ბარანოვა-კოზირევას, რომელმაც 10 კილომეტრის გავლას 41.52 წუთი მოანდომა. ე. სმირნოვა („ტრუდი") გამოვიდა მესამე ადგილზე — 43.11 წ.

უფრო ძნელ პირობებში მოუხდათ რბენა ვაჟებს, რომლებსაც 10-კილომეტრიანი წრე 5-ჯერ უნდა გაევლოთ. სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. კუზინი („ბურევესტნიკი"), რომელიც სტარტიდან მეცამეტე წავიდა, ორი წრის შემდეგ საკმაოდ დაწინაურდა. მაყურებლებში შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს იგი გაიმარჯვებდა, მაგრამ წამმზომები არმიელ ვ. მარინიჩევის (№ 24) სასარგებლოდ აჩვენებდნენ დროს. მას საუკეთესო შედეგი ჰქონდა 10 კილომეტრის შემდეგ — 37.20 და 2 წამს უგებდა დინამოელ ი. ანისიმოვს (№ 29). 20 კილომეტრის შემდეგ მარინიჩევმა სხვაობა უახლოეს კონკურენტთან 5 წამით გაზარდა, მაგრამ ანისიმოვი შემდგომში თანდათან უმატებდა ტემპს და ნახევარი დისტანციის დამთავრებისას უკვე ხელთ იგდო ლიდერობა. ბოლო წრეზე მარინჩევს გაასწრო ა. შელიუხინმაც („ტრუდი"), საბოლოოდ პირველი ადგილი დაიკავა ანისიმოვმა — 3:14.11. მეორე ადგილზეა შელიუხინი — 3:14.34. მარინჩევი დარჩა მესამე, ხოლო ვ. კუზინი — მერვე ადგილზე.

ამით დამთავრდა უძლიერესთა შეჯიბრება ბაკურიანში. შეიქმნა ნაკრები გუნდები, რომლებიც საზღვარგარეთ გამართავენ საერთაშორისო შეხვედრებს. შეიძლება ითქვას, ბაკურიანში მოწყობილი შეჯიბრება მნიშვნელოვანი ეტაპია ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებაში, ვინაიდან აქაური ბუნებრივი პირობები დიდად ენათესავება მომავალი ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილს.

უძლიერესთა შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ „კოლმეურნისა" და ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს. სამანდატო კომისიას დროულად წარედგინა განაცხადები, გუნდები დაშვებულ იქნენ შეჯიბრებაზე, მაგრამ მათი მაჩვენებლები არასახარბიელოა. პირველივე დღეს ესტაფეტაში გუნდის გამოყვანა ვერ შეძლო „კოლმეურნემ", მისი ზოგიერთი წევრის საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო.

„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობის დამთავრების შემდეგ ნაკრებ გუნდში მოხვდა რამდენიმე მესტიელი სპორტსმენი — ა. ჯაფარიძე, ნ. მუშკუდიანი ლ. ჯაფარიძე, კ. ხვისტანი, ი. ვეზდენი. ცენტრალური საბჭო არაფერს ზოგავდა გუნდის სათანადო მომზადებისათვის, სპორტსმენებიც ვარჯიშობდნენ, მაგრამ მესტიელებმა, როგორც იტყვიან, „კვანტი" გამოსდეს გუნდის ხელმძღვანელებს. საქართველოს პირველობაზე, რომელიც წინ უსწრებდა საკავშირო პირველობას და უძლიერესთა შეჯიბრებას, მათ გაინაღდეს მეორე ადგილი, უარი თქვეს საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობაზე და თვითნებურად წავიდნენ. ი. ვეზდენმა სწორედ შეჯიბრების წინა დღეს უღალატა კოლექტივს რის გამო „კოლმეურნემ" ვერ შეძლო გუნდის გამოყვანა ესტაფეტაში. იგივე განმეორდა შეჯიბრების უკანასკნელ დღეს, როცა 50 კილომეტრზე რბენაში გამოსვლაზე უარი თქვეს გუნდის სხვა წევრებმა.

უკეთესად არც რესპუბლიკის ნაკრები გამოსულა. მისმა ხელმძღვანელობამ სტარტზე ისე გამოიყვანა „კოლმეურნის" სპორტსმენი ნ. კოზანაშვილი, რომ მისი ხელმძღვანელებისათვის არც უცნობებია. აღნიშნულმა ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს ქალთა გუნდების გამოყვანაც.

ასეთი შედეგებით დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის მოთხილამურეთათვის როგორც საკავშირო პირველობა ესტაფეტაში, ისე უძლიერესთა შეჯიბრება. ქალთა შორის 5 კმ-ზე რბენაში საქართველოდან ორი სპორტსმენი გამოვიდა და ორივე საკმაოდ დაბალი შედეგებით (ბოლო ადგილები). ფაქტები ნათელყოფენ, რომ ჩვენი სპორტსმენები საგრძნობლად ჩამორჩებიან როგორც ფიზიკური, ისე ტექნიკური მომზადებით.

სათხილამურო სპორტის სექციამ და სპორტსაზოგადოებებმა აღნიშნული ფაქტიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ.

ა. არხანგელსკი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
ო. გელაშვილი.

* * *

**სურათებზე:** ზამთრის თანამედროვე ორჭიდში (რბენა 20 კმ. სროლით) გამარჯვებული დინამოელი სპორტსმენი ბ. ვანკოვი (მარცხნივ) დისტანციაზე და ნ. პავლოვსკი მეოთხე ტირის ცეცხლის ხაზზე.

# თან მიჰყვება თბილისური სითბო

(დასასრული)

16 წლის ფიშერს გაუჭირდება მ. ბოტვინიკთან თამაშის უფლების მოპოვება. მართალია, მან ახლახან მეორედ დაისაკუთრა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის სახელი, მაგრამ მას ჯერ აკლია ცოდნა და გამოცდილება. ისლანდიელი ოლაფსონი და ბენკო სიმპათიური ახალგაზრდებია, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ყველა შეეცდება მათგან მიიღოს საჭირო ქულა.

— რას დაუმატებთ განვლილი ჩემპიონატის შესახებ?

— XXVI ჩემპიონატის გარშემო ბევრი დაიწერა ჩვენს პრესაში. მათი გამეორება ზედმეტია, აღვნიშნავ მხოლოდ გაუთვალისწინებელ ამბავს. ეს ხოლმოვის მიერ შვიდი პრიზის მოპოვებაა. ჩვენ, მოჭადრაკეები, საერთოდ კოლეგიალური ხალხი ვართ, მაგრამ მაშინ, როცა ხოლმოვი საზეიმო დახურვაზე პრიზებს ღებულობდა, ალბათ ბევრს „შეშურდა". ასეთივე მოულოდნელობა იყო პოლუგაევსკის მარცხი ჩემპიონატის პირველ ნახევარში და გულდასაწყვეტი წაგება ბოლო ტურში.

გარდა ამისა, ბრონშტეინი რომ საბრძოლო განწყობილებაზე ყოფილიყო, შეიძლება ყველაფერი სულ სხვაგვარად წარმართულიყო. ბრონშტეინი შეუძლოდ გრძნობდა თავს, რამაც მის თამაშს დაასვა დაღი.

— თქვენს შესახებ რას გვეტყვით?

— ძნელია რაიმე გითხრათ. ეს მე მგონი ჩემი მწვრთნელის კომპეტენციაში შედის.

— ტალის შედეგი, — დაიწყო ა. კობლენცმა, — კარგია. მაგრამ პირველ ადგილებს მიჩვეული კაცისათვის მაინც შეუფერებელია. მართლაც, ყოველთვის პირველი ხომ არ იქნები, მით უმეტეს, რომ პეტროსიანი ბრწყინვალედ თამაშობდა. ჩვენმა მიშამ თუ ბრონშტეინს, გელერსა და ავერბახს მოუგო ბრწყინვალე პარტიები, სამაგიეროდ ყაიმიც კი ვერ გააკეთა იუხტმანთან და გუფელდთან, ხოლო ფურმანთან მოგებული პარტია გააყაიმა. იგი ჩქარობდა. ეს პირველი. მეორე (რომლის გამხელა შეიძლება არც ღირს) ისაა, რომ ტალი რიგიდან გრიპმოხდილი ჩამოვიდა, რომლის ვირუსმა არც თბილისში დაანება თავი. ამიტომ იგი ზოგჯერ ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე.

— გვაინტერესებს თქვენი შეხედულება ბ. გურგენიძის თამაშზე, — მივმართეთ ისევ მ. ტალს.

— ბუხუტი ნიჭიერი ოსტატია. მე და მას გვაერთიანებს შემოქმედებითი მრწამსი. განა შემიძლია დავივიწყო ვოროშილოვგრადში 1955 წელს გათამაშებული ჩვენი პარტია, რომელმაც მაგრძნობინა ჩვენი სტილის ნათესაობა. ქართველი ოსტატის წარუმატებლობის მიზეზად შეიძლება ბევრი რამ ითქვას. ჩემის აზრით იგი გადაჭარბებული მონდომებით თამაშობდა, ვფიქრობ, გურგენიძეს არა აქვს დამუშავებული სადებიუტო რეპერტუარი, რაც განაპირობებს საერთოდ ბრძოლის გეზს. საგანგაშო არაფერია. ბუხუტი გაითვალისწინებს მიღებულ გაკვეთილებს და შემდეგში ნამდვილ ბრძოლას გაუმართავს გროსმაისტერებს.

მინდა კიდევ ორი რამ გითხრათ. თბილისელები, რომელთა სითბოს მე კარგად ვგრძნობდი, კვალიფიციური მაყურებლები არიან. ისინი კარგად აღიქვამდნენ პარტიაში მომხდარ ამბებს და კმაყოფილებას ტაშით გამოხატავდნენ. აბა რა დააკავებს სამხრეთულ ტემპერამენტს, როცა დაფაზე თავბრუდამხვევი კომბინაცია ტრიალებს.

მე თბილისში დავკარგე ჩემპიონობა, მაგრამ შევიძინე ბევრი მეგობარი და გულშემატკივარი. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი მზრუნველობას, ყურადღებას და სიმპათიას. ამიტომ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით გადავცე თბილისელებს ჩემი გულწრფელი მადლობა პატივისცემისათვის. მე ვერ დავივიწყებ თბილისელებს, რომელთა მსგავსი პატივი ჩემთვის არსად არ უციათ. მივემგზავრები და თან მიმყვება თბილისური სითბო.

— ხომ არ აპირებთ სადმე თამაშს პრეტენდენტთა ტურნირამდე?

— ვითამაშებ ორ შეჯიბრებაში. მაისში შვეიცარიაში, სადაც ციურიხის საჭადრაკო კლუბი მართავს საერთაშორისო ტურნირს თავისი არსებობის 120 წლისთავის აღსანიშნავად. მოწვეული არიან კერესი, გლიგორიჩი, ფიშერი, საბო, პახმანი და სხვ. სულ თექვსმეტნი ვიქნებით, რვა უცხოელი და რვა შვეიცარიელი. შემდეგ მონაწილეობას მივიღებთ საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაში.

დავამთავრეთ საუბარი. მადლობა გადავუხადეთ და კეთილი მგზავრობა ვუსურვეთ გროსმაისტერსა და მის მწვრთნელს.





# ჩემი ჩანაწერები

გ. მინაშვილი,
სპორტის ოსტატი

გაგრძელება. იხ. „ლელო“ № 19.

დავდგით ფეხი ჩილის მიწაზე და თითქმის დავკარგეთ უფლება „საკუთარ თავზე“. ტემპერამენტიანმა მოძრავმა მასპინძლებმა უცერემონიოდ ჩაგვითრიეს სამხრეთული ცხოვრების ბობოქარ მორევში, დაგვატრიალეს შიგ და დიდი ხნით დაგვეპატრონენ. ჩვენი ჩასვლით გამოწვეული აჟიოტაჟი იმდენად გაიზარდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სანტ-იაგო კალათბურთის ვეებერთელა მოედნად მოგვეჩვენა, ხოლო ხალხი — მასზე მგორავ პატარა ბურთებად. ყოველი ქუჩა, ყოველი სახლი, ეზო კალათბურთით სუნთქავდა.

რატომ ვიყავით ჩვენ ყურადღების ცენტრში? ბევრი მიზეზით. ზოგს გულწრფელად აინტერესებდა ჩვენი ძალა, ზოგიერთისათვის ვიყავით ახალი ქვეყნის, ახალი „პლანეტის“ ადამიანები, უმეტესობას კი სურდა ამოეხსნა რუსეთის ნაკრების „საიდუმლოება“. ავადმყოფური ცნობისმოყვარეობაა — თორემ რა საიდუმლოება უნდა ჰქონოდა გუნდს, ან ჩემპიონატში საბრძოლოდ ჩამოსულ კალათბურთელებს?

ცნობისმოყვარეობას კიდევ ერთი საფუძველი ჰქონდა — ამჯერად უფრო კონკრეტული, მატერიალური. ეს საწყისი ი. კრუმინში იყო—ტურნირის რეკორდსმენი სიმაღლეში და ალბათ ყველაზე დიდი მოცულობის ადამიანი, რომელიც ოდესმე ჩამოსულა სამხრეთ ამერიკაში. დანარჩენები ვიყავით „კრუმინშის ბიჭები“ — ამ საოცარი ადამიანის თანამემამულეები. ასე მოგვნათლა პრესამ, ასე გვიწოდებდნენ მაყურებლები შეჯიბრების დღეებში.

სანტ-იაგო თანამედროვე კაპიტალისტური ქალაქია და ამიტომ აქ მოურიდებლად ბატონობს პრესა. საერთოდ, საზღვარგარეთის პრესას დიდი თავდაჭერილობა არ ახასიათებს, მაგრამ აქაურმა გაზეთებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს. ჯერ ერთი, მკითხველი მათში, ვერაფერს აღმოაჩენდა კუბის კონფლიქტის და კალათბურთის ამბების გარდა. მაგრამ ეს არაფერია. კუბის კონფლიქტში ჩვენ არ ვიყავით კომპეტენტურნი, კალათბურთის მასალების სიმრავლე კი მაინცდამაინც არ გვწყინდა. გასაოცარი იყო სხვა რამ: როგორ ახერხებდა ერთი გაზეთი ამდენი საწინააღმდეგო და შეთხზული ამბების ბეჭდვას, სადაც სიმართლე იშვიათად, მხოლოდ ხანდახან გამოჟონავდა ხოლმე.

„კრუმინშმა იყიდა 10-მეტრიანი ხალიჩა და ასწია ტაქსი თავისი მძღოლით“, გაკვირვებული სახით კითხულობდა იანისი სენსაციას თავის შესახებ. კიდევ კარგი, რომ კრუმინში მშვიდი და აუღელვებელი ხასიათისაა. იგი ასეთ ცნობას ყოველთვის ღიმილით ხვდება, მაგრამ ერთხელ მან „შურისძიება“ გადაწყვიტა და კორესპონდენტს მისცა მისთვის საჭირო სულიერი საზრდო:

— რამდენს ჭამთ ხორცს?

— ერთ ხარს!

— აპირებთ თუ არა თანამგზავრით გაფრენას?

— გააჩნია რომლით. ამერიკულში ვერ ჩავეტევი.

— რამდენი მატერია გჭირდებათ საკოსტიუმედ?

— ოცამდე მეტრი. კორესპონდენტი ხელის კანკალით იწერდა ძვირფას ცნობებს ბლოკნოტში და მადლობის ნიშნად ღიმილს აფრქვევდა გარშემო. როგორც ჩანს იგი წინასწარ გრძნობდა ამ ცნობებით გაკვირვებულ თავის რედაქტორს.

თავსატეხი იყო სხვა გარემოება. როგორ გავიაროთ ქუჩაში შეუმჩნევლად, აბეზარ გულშემატკივართა გარეშე. ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და გამოსავალი მხოლოდ პოლიციის მხარდაჭერაში ვნახეთ. პოლიციელთა ორ მწკრივს შორის მომწყვდეული, გამაყრუებელი ტაშისა და ყიჟინის ქვეშ ვიწყებდით სავალდებულო მოციონს, რომელსაც ზუსტად ასეთივე წესით ვამთავრებდით სასტუმროში შესვლით. თავს არხეინად გრძნობდა მხოლოდ გურამ აბაშიძე. იგი შეუმჩნევლად შეერეოდა გამვლელთ და ყველაფერი რიგზე იყო — გურამი ჩილიელებს თავისიანად მიაჩნდათ.

ჩილის კალათბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ჩემპიონატში მონაწილე ყოველ გუნდს მიამაგრეს „მფარველი ქალი“, რასაც ჩილის ენაზე „მადრინა“ ჰქვია. მადრინა არის ახალგაზრდობის, სილამაზისა და სიმხიარულის განსახიერება. ჩვენი მადრინა ყველა ამ თვისებებთან ერთად დაჯილდოებული იყო მუსიკალური ნიჭითაც. იგი ხშირად უკრავდა როიალზე ეროვნულ მელოდიებს, ზოგჯერ მღეროდა კიდეც, რითაც დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა. მადრინა ჩვენთვის სილამაზის სინონიმად გადაიქცა. მაგრამ მათ შორისაც ხომ უნდა ყოფილიყო საუკეთესო.

სწორედ ასეთი მადრინა ხვდა წილად კანადის გუნდს. იგი ჩემპიონატის დაწყებამდე მადრინა იყო, ტურნირის ბოლოს კი კანადელთა სარძლო გახდა. ერთ-ერთმა კალათბურთელმა იგი ცოლად შეირთო. ერთხელ ჩვენს „მფარველს“ ვკითხეთ: რით აიხსნება მადრინების სიჭარბე თქვენს ქვეყანაში? გოგონამ გულიანად გადიკისკისა:

— თქვენ ამბობთ ჩილის ვაჟები ბედნიერები არიანო? ჩვენთვის, ქალებისათვის, კი ეს ყველაფერი უბედურებაა. ოდნავ მორცხვ და გაუბედავ გოგონას სამუდამო მონაზნობა მოელის, ისეთი დიდია არჩევანი ჩვენი ვაჟების წინაშე. გოგონებმა გამოიმუშავეს იმუნიტეტი და ყოველი მათგანი ცდილობს რაც შეიძლება მეტად მოაწონოს თავი კავალერს.

ჰულა-ჰუპი ქეთრივით შემოიჭრა ჩილში. არავინ იცის ზუსტად მისი წარმოშობის ადგილი. იგი უეცრად მოევლინა აქაურ ახალგაზრდობას და იმავე წამს დაიპყრო იგი. ამბობენ, ჰულა-ჰუპი „როკ-ნ-როლის“ მემკვიდრეაო. არა მგონია. ჰულა გაცილებით კეთილშობილური გართობაა, თუმცა საკმაოდ მოსაწყენი. ფაქტიურად იგი მუცლის კუნთების ვარჯიშს უფრო წარმოადგენს, ვიდრე გართობას. ნეილონის რგოლის დაუსრულებელი ტრიალი წელის დახმარებით — ესაა და ეს. ჰულა-ჰუპის გავლენის ქვეშაა დღეს მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი. ამ გართობამ რაღაც ავადმყოფური ხასიათი მიიღო ჩილში და არავინ იცის რით დამთავრდება ეს ისტორია. შეიძლება იგი კანონით აიკრძალოს ისევე, როგორც „როკ-ნ-როლი“ აიკრძალა ზოგიერთ ქვეყანაში.

(გაგრძელება იქნება)

* * *

სურათებზე: ზემოთ — ასეთია ჰულა-ჰუპი; ქვემოთ — გ. აბაშიძე სსრ კავშირისა და კანადის გუნდების მადრინებთან.

# „თოვლის ადამიანს“ ეძებენ

**ამ ბოლო ხანებში მსოფლიო პრესაში სულ უფრო ხშირად წერენ „თოვლის ადამიანის“ შესახებ. სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო ექსპედიციები ეძებენ ფაქტიურ მასალას XX საუკუნის ამ საოცრების შესახებ.**

**გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას“ რედაქციამ შეკითხვით მიმართა საბჭოთა მეცნიერთა ერთ-ერთ კოლექტივს, რომელიც სწორედ „თოვლის ადამიანის“ პრობლემის გადაჭრითაა დაკავებული. ვბეჭდავთ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს.**

1958 წელს მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა ჩატარებული „თოვლის ადამიანის პრობლემის გადასაჭრელად“. გასული წლის გაზაფხულზე ჰიმალაის სამხრეთ ფერდობებზე, ნეპალში მუშაობდა ამერიკული ექსპედიცია ტომ სლიკის ხელმძღვანელობით, რომელმაც მთელი რიგი საინტერესო დაკვირვებები აწარმოა. ექსპედიციამ აღნიშნა „თოვლის ადამიანის“ ახალი ნაკვალევი და დაადგინა, რომ იგი ერთ-ერთი მაღალმთიანი მდინარის ნაპირებზე იკვებება მსხვილი ბაყაყებით, რომლებსაც აქაური მკვიდრნი — შერპებიც სიამოვნებით მიირთმევენ. ამ ექსპედიციის წევრმა, ირლანდიელმა პიტერ ბირნმა მაღალ მთაში მოთავსებულ ერთ-ერთ მონასტერში მოძებნა ხელის გამხმარი მტევანი, რომელიც „თოვლის ადამიანისა“ უნდა იყოს. ფოტოგრაფიული სურათი ცხადყოფს, რომ თუ ეს ხელი მართლაც „თოვლის ადამიანს“ ეკუთვნის, მაშინ იგი არავითარ შემთხვევაში არაა ადამიანის მსგავსი მაიმუნი, არამედ, პირიქით, ანატომიურად ახლოს დგას ადამიანთან. პიტერ ბირნი და მისი თანამშრომლები განაგრძნობენ „თოვლის ადამიანის“ ძიებას.

ამჟამად ჰიმალაის იმავე რაიონში მუშაობს ამერიკის შეერთებული შტატების ზოოლოგიური საზოგადოების ექსპედიციაც, რომელსაც შეუერთდა გამოჩენილი ინდოელი ზოოლოგი, ნიუ-დელის ზოოპარკის დირექტორი, პროფესორი ბაკხეტი, რომელიც ადრეც მონაწილეობდა „თოვლის ადამიანის“ საძიებელ სამუშაოებში.

ჰიმალაიში ნეპალის მხარეს ძიებას აწარმოებდნენ აგრეთვე ინგლისური და იტალიური ექსპედიციები. ამ უკანასკნელის წევრებმა მთებიდან ჩამოსვლის შემდეგ განაცხადეს, რომ ნახეს „თოვლის ადამიანი“ 50-60 მეტრის მანძილზე მთვარის სინათლეზე და სცადეს კიდეც მისი გადაღება, მაგრამ სურათი არ გამოვიდა.

აქტიურად ჩაებნენ, „თოვლის ადამიანის“ შესწავლის საქმეში ჩინეთის მეცნიერები. მათ გასულ წელს შეკრიბეს მასალები, რომელთა შორის აღმოჩნდა ბევრი საჭირო და ძვირფასი ცნობა. შემდგომ გამოკვლევას ამჟამად ხელმძღვანელობს საქვეყნოდ განთქმული ჩინელი პალეონთოლოგი და ანთროპოლოგი პროფესორი პეი ვენ-ჯუნი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ მთელი რიგი ღონისძიებანი ჩაატარა „თოვლის ადამიანის“ ძიების საქმეში. აკადემიის ერთ-ერთ ინსტიტუტთან შექმნილია საგანგებო სამეცნიერო ჯგუფი, რომელსაც ევალება მასალების მოძებნა ადგილებზე, მათი შეკრება და შესწავლა.

სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერები, რომლებსაც აინტერესებთ „თოვლის ადამიანი“, აქამდე იკვლევდნენ ჰიმალაის მხოლოდ სამხრეთ ფერდობებს. ჩინეთის ზოოლოგების, ანთროპოლოგებისა და გეოგრაფების ჯგუფი გაზაფხულზე გაემგზავრება ამ უდიდესი მთიანი მასივის ჩრდილოეთ მხარესაც. მეცნიერთა ჯგუფი შეუერთდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ალპინისტურ ექსპედიციას. ექსპედიციის მონაწილეები მაღალმთიან რაიონებში ჩაატარებენ საძიებელ სამუშაოებს, რომლებიც დაკავშირებულია „თოვლის ადამიანის“ პრობლემასთან.

სინცზიან-უიგურის, ტიბეტისა და შიდა-მონღოლეთის ავტონომიური ოლქების მთავრობებს დაევალათ შეძლებისდაგვარად დარაზმონ მოსახლეობის მასები, აგრეთვე მონადირეები და სამეცნიერო ძალები „თოვლის ადამიანზე“ მასალების შესაგროვებლად.

ეჭვი არაა, რომ ასეთი მასშტაბით გამოკვლევის წარმოებისას ჩინელ მეცნიერებს მეტად ნაყოფიერი საქმიანობის გაწევა შეუძლიათ.

საბჭოთა კავშირში აგრეთვე მუშაობს მეცნიერთა კოლექტივი, რომელსაც აღნიშნული პრობლემა სავსებით პერსპექტიულად მიაჩნია. ჩვენს მეცნიერთა ხელში ბევრი ძვირფასი მასალაა თავმოყრილი.

# „ბ“

თბილისის „განთიადის“ სპორტულ დარბაზში დამთავრდა ფრენბურთელთა ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრება. ქალთა გუნდებს შორის პირველი ადგილისათვის იბრძოდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და „განთიადის“ ფრენბურთელები, რომლებიც ფინალამდე დაუმარცხებლად მოვიდნენ. გადამწყვეტი მატჩი სტუდენტებმა ჩაატარეს ენერგიულად, მოიპოვეს იოლი გამარჯვება ანგარიშით 3 : 0 და გაინაღდეს პირველი ადგილი. მომდევნო ადგილებზე არიან „განთიადის“, აჭარის, განათლების განყოფილების, ქუთაისისა და რუსთავის სპორტსმენები.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდმა დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი. დაძაბული იყო ბრძოლა მომდევნო ადგილებისათვის. აქ აჭარის, ქუთაისისა და რუსთავის გუნდებს ჰქონდათ ქულათა თანაბარი რაოდენობა. მოგებული და წაგებული პარტიების უკეთესი შეფარდებით მეორე ადგილი წილად ხვდა აჭარას, მესამე — ქუთაისს, ხოლო მეოთხე — რუსთავს. მომდევნო ადგილებზე არიან ბორჯომისა და სამხრეთ ოსეთის გუნდები.

ამრიგად, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და „ბურევესტნიკის“ გუნდებმა მოიპოვეს „ბ“ კლასის გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება.

ლ. თუშიშვილი

# ქარხნის პირში

საბურთალოს აგურის ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა დოსააფ-ის პირველად ორგანიზაციასთან ერთად ჩაატარა ქარხნის პირადი პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში. ჩემპიონობა წილად ხვდა მექანიკური საამქროს ხარატს ა. ავაქოვს, მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ გ. ხუცურაული და ი. ბაზღაძე. შეჯიბრების პროცესში ნაჩვენები იქნა 4 მესამე თანრიგის შედეგი.

ო. სანიკიძე

რედაქტორი ი. უგულავა.



16-17 თებერვალი

ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტული დარბაზი

(უ. ჩხეიძის, № 4)

ამხანაგური შეხვედრა

## ფარიკაობაში

მოსკოვი (სახელმწიფო უნივერსიტეტი) — თბილისი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი)

დასაწყისი 18 ს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“
ტელეფონები: რედაქტორის 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01150